

ზუგდიდის საკრებულოს თავმჯდომარეს - გიგა ფარულავას  
ზუგდიდის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქის  
სახელი, გვარი: ილია გვაჯაია  
პირადი ნომერი: [REDACTED]  
იურიდიული მისამართი: [REDACTED]  
ზუგდიდი, ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, საქართველო  
ტელეფონის ნომერი: [REDACTED]

### განცხადება პეტიციის წარდგენის თაობაზე პეტიცია

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 86-ე მუხლისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2017 წლის 14 ნოემბრის N1 დადგენილებით მიღებული საკრებულოს რეგლამენტის 116-ე მუხლით დადგენილი წესით, მოგმართავთ განცხადებით პეტიციის წარდგენის თაობაზე.

რეკრეაციული სივრცეების თვალსაზრისით ზუგდიდი უნიკალური ადგილია. ზუგდიდის მთელი სარეკრეაციო ზონის დაახლოებით 90%-ს ბოტანიკური ბაღი წარმოადგენს. საქართველოს სხვა ქალაქებში ბოტანიკური ბაღების წილი ამ ქალაქების მთლიან სარეკრეაციო სივრცეში ამასთან მიახლოებულიც არაა. ამდენად, ამ სივრცეზე წვდომის შეზღუდვა ქალაქის თითქმის მთელ სარეკრეაციო სივრცეზე შეზღუდვას ნიშნავს. ამასთან, ბოტანიკური ბაღი არსად სხვაგან, სარეკრეაციოსთან ერთად, სოციალური და კულტურული ცხოვრების შუაგული არ არის.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა და გაეროს ბავშვთა ფონდის 2021 წლის კვლევის მიხედვით, საქართველოს შინამეურნეობების (ოჯახების) 67%-მა საკვებზე დანახარჯის დაზოგვა დაიწყო. ზუგდიდის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახების 54%-ზე მეტს შეტანილი აქვს განაცხადი საარსებო შემწეობის მიღების თხოვნით. ამ ფონზე ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის ღიაობა, მასში შეუზღუდავი დაშვება სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. ამაზე მეტყველებს ისიც, რომ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2022 წლის 18 თებერვალს გადმოცემული ბლანკების შევსებას არასრული სამი დღე დაჭირდა და ზუგდიდის მაცხოვრებლები ამ დრომდე გვიკავშირდებიან პეტიციაზე ხელმოწერის თხოვნით.

ჩვენ წარმოვადგენთ პეტიციას საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 86-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე. ჩვენი კონკრეტული წინადადებაა, რომ მისაღები ნორმატიული აქტის ძირითადი პრინციპი უნდა იყოს შემდეგი:

ზუგდიდის ბოტანიკური ბაღში შესვლა, მისი დათვალიერება და მისით სარგებლობა საქართველოს მოქალაქეებისთვის, განურჩევლად მათი ქონებრივი და სხვა მდგომარეობისა, უნდა იყოს უფასო.

გთხოვთ, განიხილოთ წარმოდგენილი პეტიცია კანონმდებლობით დადგენილი წესით და გვაცნობოთ პეტიციის განხილვის ყველა შესაძლო პროცედურა, რომ მასში მონაწილეობის მიღება შევძლოთ.

კეთილი სურვილებით,

  
ილია გვაჯაია

პეტიციის წარდგენის თაობაზე განცხადების წარდგენის თარიღი: **21.02.2022**

დანართები:

დანართი N1: პეტიციის ინიცირების თაობაზე განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი: ერთი ფურცელი.

დანართი N2: პეტიციის წარმდგენი ამომრჩევლების სია (ბლანკები): 79 ფურცელი.